ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №20

2015 წლის 20 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე გამარტივებული წესით შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის, მე–3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 13 მარტის № 01-22/447 მომართვის შესაბამისად.

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 20 (ოცი) სოციალურად დაუცველი ოჯახების გაზიფიცირების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის წესით.

2. ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 20 (ოცი) სოციალურად დაუცველი ოჯახების გაზიფიცირების მომსახურების შესყიდვის მიზნით განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულმა სამსახურმა შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.ლაზიშვილი).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში(მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**